

სამართმელის მშენებლობისა და საზოგადოების განვითარების ფონდი
GEORGIAN FOUNDATION FOR DEVELOPMENT OF SCIENCES AND SOCIETY



ISSN 1512-0333



2(49)

თბილისი TBILISI

2014

10.05. ზოოლოგია PHILOLOGY

ნინო თვედორაძე
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
Iliia State University

მხატვრული ტექსტის მნიშვნელობის ინტერპრეტაციის თანამედროვე პუბლიცისტური მეცნიერებების უმთავრესი ამოცანაა და შესაბამისად, ამ სფეროში საკმაოდ დიდი გამოცდილებაც არის დაგროვილი. მიუხედავად ტექსტისა და მისი მნიშვნელობის ინტერპრეტაციის შესახებ არსებული ამ თეორიების მრავალფეროვნებისა სხვადასხვა დისციპლინებში და მათში წარმოდგენილი განსხვავებული პოზიციებისა, ისინი სრულად თანხმდებიან ერთ საკითხთან დაკავშირებით: ტექსტის მნიშვნელობა მოლიანიად არასოდეს უმთხვევა ინტერპრეტირებულ მნიშვნელობებს. თუმცა, ამ საერთო ჰიპოთეზიდან გამომდინარე დასკვნები სხვადასხვა თეორიულ მიდგომებში რადიკალურად განსხვავებულია.

წინამდებარე ნაშრომის მიზანია, სხვადასხვა კვლევით ტრადიციებში განსხვავებულ მიდგომათა გათვალისწინების საფუძველზე, ტექსტის მნიშვნელობის, კვლევის ორიენტირების განსაზღვრა. ეს ამოცანა კი გულისხმობს უკანონოებზე შეფასებით პასუხი გავცეთ კითხვებს, თუ როგორ მოიპოვება ამ მიდგომათა საფუძველზე მხატვრული ტექსტის მნიშვნელობის ინტერპრეტაცია; სად უნდა ვეძებოთ მნიშვნელობას; რა ურთიერთობის მართებაა ტექსტის შინაარსის პლანსა და ტექსტის მნიშვნელობას შორის; რას უნდა დავაუქმნოთ ინტერპრეტაცია - ტექსტის ობიექტური მოცემულობის ანალიზს? ასეთ შემთხვევაში, ხომ არ ჩნდება იმის საშიშროება, რომ მხატვრული რეალობა დაფარული დარჩეს? როგორც ა. ტიუბა აღნიშნავს, ეს საშიშროება განპირობებულია თავად მხატვრული ტექსტის სპეციფიკით - როდესაც ვიწყებთ მხატვრული ტექსტის ანალიზს, იმთავითვე აღმოვჩნდებით პარადოქსულ მდგომარეობაში: მეცნიერება აღმოჩნდება ხელოვნების (მხატვრულობის) პირისპირ - მეცნიერება, რომელიც თავისი სპეციფიკით სრულიად განსხვავდება ხელოვნებისაგან, იწყებს ამ უკანასკნელის ანალიზს, რაც კონფლიქტურ სიტუაციას წარმოშობს (Tonia, 2009, 7). როგორ უნდა მოიქცეს ინტერპრეტატორი, უარი თქვას ობიექტური მოცემულობის ანალიზზე? რამდენად არის შესაძლებელი ინტერპრეტაცია ამგვარი ანალიზის გარეშე?

ამ საკითხების მიმართ როგორც უკვე აღვნიშნეთ, კარგა ხანია განსხვავებული პოზიციები არსებობს. თანდათანობით იზრდება კვლევების ინტერდისციპლინარული, რადგან სულ უფრო და უფრო მეტად იკვეთება საჭიროება იმ სამეცნიერო დარგების მიდგომებისა და მეთოდების გათვალისწინებისა და ერთმანეთთან დაკავშირებისა, რომლებსაც საერთო ვადაკვეთის წერტილი - მხატვრული ტექსტი აკავშირებთ ერთმანეთთან. ლინგვისტიკაში სტრუქტურულ-სემიოტიკური კვლევის პრინციპების დამკვიდრებამ, წინადადებაზე მადლა მდგომარეობის - ტექსტის ენობრივი იერარქიის სრულ, კომპლექსურ ნიშნად აღიარებამ, საკომუნიკაციო აქტის (რომელსაც უფროსადაა როგორც თანამედროვე პრაგმატიკა, ისე თანამედროვე კომუნიკაციის მოდელი) აქცენტირებამ, განაპირობა არაერთი ახალი თეორიული მიდგომისა და დისციპლინის წარმოშობა, რომლებიც შემდგომ დაუკავშირდნენ ლიტერატურათმცოდნეობით კვლევებს. რამდენიმე მომავალზე დისციპლინის ინტეგრაციის შედეგია ტექსტის ლინგვისტიკური ანალიზის დამოუკიდებელი დისციპლინად ჩამოყალიბება. ასევე, ინტერესთა ამგვარი კონკრეტული შედეგია ისეთი დისციპლინის წარმოშობა, როგორცია სტილისტიკა, რომელიც ლიტერატურათმცოდნეობის და ლინგვისტიკის გადაკვეთის წერტილში აღმოჩნდა და რომელიც წლების განმავლობაში მხატვრული ტექსტის ანალიზის ერთერთ ყველაზე მნიშვნელოვან მეთოდოლოგიად იქცა. უკანასკნელი წლების განმავლობაში განვითარებული ე.წ. „ახალი სტილისტიკის“ (New Stylistics) წარმომადგენლები - დონალდ ფრიმანი (Donald C. Freeman), როჯერ ფაულერი (Roger Fowler), ჯეფრი ლიჩი (Geoffrey N. Leech), მაიკლ შორტი, (Michael H. Short), მაიკლ ტულანი (Michael H. Toolan), ჰენრი ვიდოუსონი (Henry G. Widdowson), (რომლის თეორიული ნაზრები განმსაზღვრელი იქნება წინამდებარე ნაშრომისათვის), აქცენტირებას აკეთებენ ენის როლზე და მიიჩნევენ, რომ მხატვრული ტექსტი შეუძლებელია გაიგოს და იკვლიოს სიღრმისეულად ენის როლის გათვალისწინების გარეშე, ვინაიდან სწორედ ენა არის მხატვრული სინამდვილის გამოხატულების საშუალება და ლიტერატურის შესახებ არსებული კრიტიკული დისკუსიების უმეტესობა, ძირითადად ეფუძნება სწორედ ლინგვისტიკურ მონაცემებს - იმ სიტყვებსა და წინადადებებს, რომელთაგანაც ფაქტობრივად შედგება მხატვრული ტექსტები. მხატვრული ტექსტი, ისევე როგორც ნებისმიერი ტექსტი, არის ენის მოქმედების, უფრო სწორედ ენის შემოქმედებითობის გამოვლენა. ის, რაც განსხვავდება ლიტერატურულ დისკურსს, სხვა დისკურსებისაგან, აღნიშნავს ტ. იგლტონი, არის ენის „უცნაური“, სპეციფიკური გამოყენება (Fagilton, 1996, 3), მაგრამ იმასთან ერთად, რომ მხატვრული ტექსტი არის ენის შემოქმედებითობის ყველაზე სრულყოფილი და ამაყ დროს, ყველაზე სპეციფიკური გამოვლენა, განსხვავებული, სპეციფიკური და განსაკუთრებული რეფერენტურობის მატარებელია მისი მნიშვნელობა (მნიშვნელოვნება), რომელსაც ვიდოუსონი აღნიშნავს ტერმინით „სიგნიფიკანცე“ (Widdowson, 1992, 11). სწორედ ეს განსაკუთრებული და სპეციფიკური რეფერენტურობა წარმოშობს მრავალ ხორბულს მნიშვნელობის ინტერპრეტაციისას და სრულიად განსხვავებულ და სრულიად სპეციფიკურ მიდგომას საჭიროებს.

ტექსტის შინაარსი (ეგულისხმობს სემანტიკურ მთლიანს, რომლის ელემენტებს წარმოადგენს კონკრეტული ენობრივი (ლექსიკური და გრამატიკული) მნიშვნელობების სამეტყველო რეალიზაცია) ბოლომდე არასოდეს ემთხვევა იმას, რასაც ტექსტი სინამდვილეში ნიშნავს, ანუ მხატვრული ტექსტის მნიშვნელობას (მნიშვნელობებს). სხვაგვარად რომ ვთქვათ, ერთი მხრივ, ტექსტის შინაარსი არ უდრის მასში შემაჯავლი